



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი

ბრძანება №660

თბილისი

18 08 20/08

შპს „თბილისის სასწავლო ეკონომიკური ინსტიტუტის“  
ლიცენზიაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-15 პუნქტის, მე-13 მუხლის „ა“ ქვეპუნქტისა და 36-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის №37 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების“ მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

გ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. შეტანილ იქნას ცვლილება 1992 წლის 07 აგვისტოს გაცემულ უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობის №01-17-08/1164 ლიცენზიაში და ლიცენზიის მფლობელი იურიდიული პირის სახელწოდების ცვლილების თაობაზე უწყებრივ სალიცენზიო რეესტრში (რეესტრის №359) ჩაიწეროს შემდეგი შინაარსის ტექსტი:  
„2010 წლის 23 ივლისიდან შპს „თბილისის სასწავლო ეკონომიკური ინსტიტუტის“ შეეცვალა საფირმო სახელწოდება და ეწოდა შპს „პეტრე მოგილას სახელობის შავი ზღვის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი“;
2. დაევალოს სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტს, ბრძანების დაინტერესებული პირისთვის გაცნობა კანონით დადგენილი წესით;
3. დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს ბრძანების განთავსება სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე;
4. დაევალოს ეკონომიკურ დეპარტამენტს ლიცენზიაში ცვლილების შეტანის თაობაზე ინფორმაციის გამოქვეყნება საქართველოს ოფიციალურ ბუჭდვით ორგანოში - „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6;
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მინისტრის  
მოვალეობის შემსრულებელი

აკაკი სეფერთელაძე